

ახალქალაქში ბერძნული ენის საკვირაო სკოლა ფუნქციონირებს

ბერძნები ახალქალაქში XIX საუკუნის I ნახევარში ერზრუმიდან ჩამოსახლდნენ და ეთნიკური მრავალფეროვნებით გამორჩეულ მუნიციპალიტეტში დღემდე ცხოვრობენ. ამჟამად სამცხე-ჯავახეთში 163 ბერძნული და შერეული ბერძნულ-სომხური და ბერძნულ-ქართული ოჯახია.

“საქართველოში მცხოვრები ბევრი ბერძნული ოჯახი საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად. სხვა ბერძნებისგან განსხვავებით, ჯავახეთში მცხოვრები ბერძნები სამშობლოს არ ტოვებენ. ამიტომ, გადაწყვეტიტ ახალქალაქში შეგვექმნა ბერძნული ენის შემსწავლელი საკვირაო სკოლა, რაშიც საქართველოში საბერძნეთის საელჩო დაგვეხმარა. ცენტრის არსებობა აუცილებელია, რომ არ მოვწყდეთ მშობლიურ ფესვებს, შევინარჩუნოთ ჩვენი იდენტობა და რომ ახალგაზრდა თაობამ შეისწავლოს ენა, რომელზეც “ილიადა” და “ოდისეა” შეიქმნა.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 2 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 6,640.00 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 5,640.00 ლარი
თანადაფინანსება: 1,000.00 ლარი



ჩვენი ცენტრის უახლესი აუდიო პროგრამებით და ტექნიკით აღჭურვაში ევროკავშირი დაგვეხმარა. გრანტის სახით გამოყოფილი თანხით გავარემონტეთ შენობა, შევიძინეთ ნოუთბუქები, ყურსასმენები და ბერძნული ენის პროგრამა”, - აცხადებს სამცხე-ჯავახეთის ბერძენთა გაერთიანებული კავშირის “პატრიდას” თავმჯდომარე მიხეილ კოლიკიდი.

საკვირაო სკოლაში ორი ათკაციანი ჯგუფი შეიქმნა, ბერძნულ ენას პროფესიონალი მასწავლებელი ასწავლის, რომელიც ბერძნულის გარდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებს ფლობს, რაც მოსწავლეებთან ურთიერთობას აადვილებს.

“ჯგუფი მრავალფეროვანია. ზოგმა უკეთესად იცის ქართული, ზოგმა სომხური, ზოგმა რუსული. რა თქმა უნდა, ეს თავიდან გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა, თუმცა დღესდღეობით ენობრივი ბარიერები დავძლიეთ და გამართულ სასწავლო პროცესს შეუფერხებლად ვახორციელებთ,” - ამბობს ბერძნული ენის მასწავლებელი.





სირთულეები შექმნა COVID-19-მაც. საკლასო ოთახში აწყობილი პროცესი მცირე დროში ონლაინ რეჟიმში გადავიდა. ამ საკითხში, როგორც მიხეილ კოლიკიდი აცხადებს, ფასდაუდებელია GIPA-ს წვლილი. უნივერსიტეტმა სკოლას საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და ონლაინ სასწავლო პროცესიც შეუფერხებლად წარიმართა.

“იოლი არ იყო ახალ რეალობასთან შეგუება. თუმცა GIPA-სა და LAG-ის თანადგომით ეს სირთულეც დავძლიეთ. მოსწავლეებმაც შეგვიწყვეს ხელი. მათ არ სურდათ მეცადინეობის შეწყვეტა. უკვე ცოდნის ისეთი დონე აქვთ, რომ თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთს ბერძნულად ესაუბრონ და რაც მთავარია თითოეულ მათგანს ერთი რამ აერთიანებს - მშობლიური ენის სიყვარული”, - აღნიშნა მიხეილ კოლიკიდი.

სკოლის აქტიურად ფუნქციონირებამ 2 სამუშაო ადგილის შექმნაც განაპირობა, ინტერესი გააღვივა ბერძნულ მოსახლეობაში და უზიდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისაკენ.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფაზგეგმვაში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩგნიოხები ახიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩთუღობა და დასავღეთ კოხკის განვითარების პაჩგნიოხოზა.

ევროკავშირის მზაჩს უჭეჩს სოფლის მეურნეობაზა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხოჩიეღღება 2013 წღღიდან საეჩთო ბიუჯეტიტ 179,5 მიღღიონი ევო. ENPARD-ის ძიჩითადი მიზანი საქართველოში სოფღად სიღაჩიბის დაძღევაა. პროგრამის პიჩვეღი ფაზის პიჩოტიგეტი იყო სოფღის მეურნეობის განვითარების ხედშეწყობა, ხოღო მეოჩე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფღად მცხოვჩები ადამიანების ეკონომიკუჩი განვითარების შესაძღებღობების გაზჩღას. დამატებითი ინფოჩმაციისათვის იჩიღეთ ვებ-გვეჩღი: www.enpard.ge.